შენიშვნა: ამ თავში განხილული დოკუმენტი დამტკიცებულია, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული. ეს დოკუმენტი ამოქმედდება 2021 წლის 31 დეკემბერს.

ბესსს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა

ნაწილი 11: ბუღალტრების მოსალოდნელი როლი და მენტალიტეტი — ფოკუსირება მიკერძოებაზე

იმისათვის, რომ პროფესიონალმა ბუღალტრებმა შეასრულონ კოდექსით დადგენილი ვალდებულებები და ხელი შეუწყონ პროფესიის პასუხისმგებლობის რეალიზებას – იმოქმედონ საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ, მათ უნდა ესმოდეთ თავიანთ როლთან დაკავშირებული მოლოდინები და აზროვნებდნენ სათანადო ყაიდაზე.

ბესსს-ის (IESBA) პროექტში - „როლი და მენტალიტეტი“ ზემოაღნიშნული ვალდებულებები განმარტებულია ახალ დებულებებში, რომლებიც 2021 წლის 31 დეკემბერს ამოქმედდება, თუმცა, ნებადართულია მათი ვადამდელი დანერგვაც. ახალი დებულებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, სხვასთან ერთად, არის ობიექტურობის ძირითადი პრინციპის გაძლიერება, რომელიც პროფესიონალ ბუღალტრებს ავალდებულებს, არ დაუშვან კომპრომისი პროფესიულ და საქმესთან დაკავშირებული განსჯისას მიკერძოების, ინტერესთა კონფლიქტის ან სხვისი მიზანშეუწონელი გავლენის გამო. წინამდებარე სერიული გამოცემის ამ ნაწილში ყურადღება გამახვილებულია მიკერძოებით გამოწვეულ შესაძლო შედეგებზე და პროფესიონალი ბუღალტრების მოსალოდნელ როლსა და აზროვნების ყაიდაზე საზოგადოების მოლოდინის დაკმაყოფილებისას.

რა სახის ცვლილებებია გათვალისწინებული ეთიკის კოდექსში პროფესიონალი ბუღალტრების ძირითად როლსა და მენტალიტეტთან/ აზროვნების ყაიდასთან დაკავშირებით?

1. ძირითადი პრინციპების დახვეწა: პროფესიონალ ბუღალტრებს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ, რამდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობს კოდექსის მოთხოვნების დაცვა, განსაკუთრებით პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების და ასევე პროფესიული ქცევის პრინციპების.
2. მიკერძოებისა და ორგანიზაციული კულტურის მნიშვნელობის გაცნობიერება: მოსალოდნელია, რომ პროფესიონალი ბუღალტრები ისეთ ყაიდაზე აზროვნებენ, რომ გაცნობიერებული აქვთ, პოტენციურად რა უარყოფითი გავლენა შეიძლება მოახდინოს მიკერძოებამ განსჯასა და გადაწყვეტილებებზე. ასევე მოსალოდნელია, რომ ისინი ხელს შეუწყობენ ეთიკაზე დამყარებული კულტურის დამკვიდრებას დამსაქმებელ ორგანიზაციაში.
3. გამჭრიახი და ცნობისმოყვარე გონება: კოდექსის კონცეპტუალური მიდგომის გამოყენება მოითხოვს, რომ პროფესიონალი ბუღალტერი იჩენდეს გამჭრიახობასა და ცნობისმოყვარეობას ძირითადი პრინციპების დაცვის მიმართ შექმნილი საფრთხეების გამოვლენის, შეფასებისა და მათზე რეაგირების დროს. ეს გულისხმობს სწორი კითხვების დასმას, მაგალითად, განსჯისთვის და გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო ინფორმაციის წყაროს, რელევანტურობისა და საკმარისობის შესახებ.

პროფესიული სკეპტიციზმი და გამჭრიახი და ცნობისმოყვარე გონება

კონცეპტუალური მიდგომის გამოყენებისას გამჭრიახობისა და ცნობისმოყვარეობის გამოჩენა ყველა პროფესიონალ ბუღალტერს ეხება, განურჩევლად მისი პროფესიული საქმიანობისა. გარდა ამისა, აუდიტის, მიმოხილვისა და სხვა მარწმუნებელი მომსახურების სტანდარტების, მათ შორის, IAASB -ის მიერ გამოცემული სტანდარტების მიხედვით, ბუღალტრებმა უნდა იმოქმედონ ასევე პროფესიული სკეპტიციზმის განწყობით, რაც გულისხმობს მტკიცებულებების კრიტიკულ შეფასებას.

განიხილეთ, როგორ შეიძლება მიკერძოების ილუსტრირება შემდეგ სცენარში:

აუდიტის მენეჯერი არჩევს გარიგების გუნდს მომდევნო აუდიტისთვის. მენეჯერი აუდიტის პარტნიორს სთხოვს გუნდის დამტკიცებას. პარტნიორი სიიდან გამოყოფს ერთ-ერთ სახელს და აღნიშნავს: „არ ვარ დარწმუნებული, რომ კარგი აზრია მისი შეყვანა გუნდში. ჩემი აზრით, ამან შეიძლება ფამილიარული ურთიერთობის ძალიან დიდი საფრთხე შექმნას.“ „მართლა?“ - იკითხავს მენეჯერი - „მას კავშირი აქვს დამკვეთთან?“ პარტნიორი პასუხობს: „წარმოდგენა არ მაქვს, მაგრამ თქვენც იცით, რომ ამ დამკვეთთან ბევრი ადგილობრივი მაცხოვრებელი მუშაობს, მათ შორის ხელმძღვანელ პოზიციებზე, არ ვისურვებდი, რომ ჩვენი გუნდის წევრი უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს ახლობლების მხრიდან.“

ცნობიერი თუ გაუცნობიერებელი მიკერძოება გავლენას ახდენს პროფესიული განსჯის გამოყენებაზე ძირითადი პრინციპების დაცვის მიმართ შექმნილი საფრთხეების გამოვლენის, შეფასებისა და მათზე რეაგირების დროს. მიკერძოების ზემოქმედებით გამოწვეული შედეგების შერბილება შეიძლება განსაკუთრებით რთულად განსახორციელებელი იყოს, რადგან ხშირად ჩვენ ვერ ვამჩნევთ საკუთარ მიკერძოებას და შეცდომით გვგონია, რომ ობიექტურად ვმოქმედებთ. პროფესიონალი ბუღალტრები განსაკუთრებულ სიფხიზლეს უნდა იჩენდნენ მიკერძოების მიმართ, მათ შორის ქვემოთ განხილულ რვა ყველაზე გავრცელებულ შემთხვევაში:

მიკერძოების ტიპი	აღწერა	მაგალითი
ფოკალიზმი (ჩაციკვლა)	მიღებული ინფორმაციის საწყისი (პირველი) ნაწილის დასაყრდენად („ღუზად“) მიჩნევის ტენდენცია, რომლის გავლენით სათანადოდ ვერ ფასდება შემდგომში მიღებული ინფორმაცია.	აუდიტორის განსჯაზე გავლენას ახდენს დამკვეთის ან ხელმძღვანელობის შესახებ შექმნილი პირველი შთაბეჭდილება.
ავტომატიზაცია	ავტომატიზებული სისტემების მიერ გენერირებული შედეგებისთვის უპირატესობის მინიჭების ტენდენცია მაშინაც კი, თუ საღი აზრი (არგუმენტაცია) ან საწინააღმდეგო ინფორმაცია ეჭვქვეშ აყენებს ასეთი შედეგების სანდოობას ან მიზანთან შესაბამისობას.	პროფესიონალი ბუღალტერი მოქმედებს ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული სისტემიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შედეგების ეჭვქვეშ დაყენების გარეშე.
ხელმისაწვდომო	ისეთ მოვლენებზე ან გამოცდილებაზე უფრო მეტი მნიშვნელობის მინიჭების ტენდენცია, რაც უცებ გაახსენდება ან ადვილად არის ხელმისაწვდომი.	პროფესიონალი ბუღალტერი „რა - თუ“ ანალიზის მოდელების ალტერნატიულ სცენარებში მხოლოდ ყველაზე ზოგად/გავრცელებულ შეხედულებებს იყენებს იმის შესახებ, რა შეიძლება მოხდეს.
დადასტურება	უფრო მეტი მნიშვნელობის მინიჭების ტენდენცია ინფორმაციისთვის, რომელიც არსებულ მოსაზრებას ადასტურებს, ვიდრე ისეთი ინფორმაციისთვის, რომელიც ასეთ მოსაზრებას ეწინააღმდეგება ან ეჭვქვეშ აყენებს მას.	აუდიტორი თვითონ აყალიბებს რაღაც თეორიას იმის შესახებ, რატომ შეიცვალა ნაშთები გარკვეულ ანგარიშებზე და უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს თავისი თეორიის დამადასტურებელ მტკიცებულებებს, ვიდრე საპირისპიროს.
ჯგუფური აზროვნება	ჯგუფის წევრებისთვის ინდივიდუალური კრეატიულობისა და პასუხისმგებლობის ხელის შემლის ტენდენცია, რის შედეგადაც გადაწყვეტილებები მიიღება საკმარისი კრიტიკული დასაბუთების ან ალტერნატივების განხილვის გარეშე.	საბჭო და ხელმძღვანელი გუნდი, რომლის შემადგენლობა არ არის ადეკვატურად მრავალფეროვანი, სესხების განაცხადების დამტკიცებისთვის იყენებს ხელოვნურ ინტელექტზე დამყარებულ სისტემას, გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ფაქტორების დეტალურად შესწავლის გარეშე.
მეტისმეტი თავდაჯერებულობა	რისკის, დასკვნის ან გადაწყვეტილების ზუსტი შეფასების საკუთარი უნარის გადაჭარბებულად შეფასების ტენდენცია.	აუდიტორი ადეკვატურად ვერ აფასებს დამოუკიდებლობის მიმართ შექმნილ საფრთხეს, რადგან სჯერა, რომ მის მიერ გამოტანილი დასკვნა ან მიღებული გადაწყვეტილება უნაკლოა.
რეპრეზენტაციულობა	საკუთარი წარმოდგენის შექმნის ტენდენცია ისეთ გამოცდილებაზე, მოვლენებზე ან მოსაზრებაზე დაყრდნობით, რაც რეპრეზენტაციულად მიიჩნევა.	ფულის გათეთრების რისკის შეფასება სასამართლო აუდიტორის მიერ დამოკიდებულია ფირმის მფლობელების ეთნიკურ წარმომავლობაზე.
შერჩევითი აღქმა	ადამიანის მოლოდინების გავლენა იმაზე, როგორ აღიქვამს იგი ამა თუ იმ საკითხს ან სხვა პიროვნებას.	პროფესიონალ ბუღალტერს სჯერა, რომ მისი გუნდი სამუშაოთი კმაყოფილია, ვინაიდან ის უფრო მეტ დადებით გამოხმაურებებს იღებს გუნდის წევრებისგან, ვიდრე სინამდვილეშია.

ღონისძიებები, რომლებმაც შეიძლება შეარბილოს მიკერძოებით გამოწვეული შედეგები:

- ექსპერტებისგან დამატებითი რეკომენდაციების მოპოვება;
- შეფასების პროცესში კონსულტაციის გავლა სხვა მხარეებთან, პრობლემის სათანადოდ მოგვარების მიზნით;
- ტრენინგის გავლა მიკერძოების იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით, პროფესიული განვითარების ღონისძიებების ფარგლებში.

კონცეპტუალური მიდგომის გამოყენებისას როლთან და მენტალიტეტთან დაკავშირებული დებულებების კონტექსტში, აუდიტის მენეჯერმა ზემოთ განხილულ სცენარში უნდა:

- გაიცნობიეროს, რომ დისკრიმინაციის დაშვება სამუშაო ადგილზე მიღებულ გადაწყვეტილებებში არ ასახავს ისეთ ქცევას, რომელიც შეესაბამება საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ მოქმედების პროფესიული პასუხისმგებლობის მოთხოვნას;
- განიხილოს, შეიძლება თუ არა, რომ აუდიტის პარტნიორის მიკერძოება გავლენას ახდენდეს ობიექტურობაზე, ხოლო თუ შესაძლებელია, როგორ;
- სიმტკიცე გამოიჩინოს და გააგრძელოს საკითხზე მსჯელობა აუდიტის პარტნიორთან მაშინაც კი, თუ ამის გაკეთება რთულია;
- განიხილოს სიტუაცია სხვა მხარეებთან, რათა თავიდან აიცილოს მიკერძოებული აზროვნება.

გრძელვადიან პერსპექტივაში მიკერძოებასა და გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა და პრაქტიკული მომზადების კურსის გავლა შეიძლება სასარგებლო იყოს პარტნიორისთვის, აუდიტის მენეჯერისა და მათი გუნდისთვის, რათა მათ უკეთესად შეუწყონ ხელი ეთიკაზე დამყარებული კულტურის დანერგვას. ამ სიტუაციაში ასეთი შეიძლება იყოს პრაქტიკული მომზადების კურსის (ტრენინგის) გავლა მრავალფეროვნების, სამართლიანობისა და ინტეგრაციის საკითხებზე.

სად მივიღებთ დახმარებას?

ახალი დებულებები როლისა და მენტალიტეტის შესახებ, მათ შორის, განმარტებითი დოკუმენტი „დასკვნის საფუძვლები“ ხელმისაწვდომია. www.IESBAeCode.org-ზე თქვენ იხილავთ eCode-ს - ონლაინ რესურსს, რომელიც განკუთვნილია ბუღალტერთათვის და კოდექსის სხვა მომხმარებლებისთვის. იგი კოდექსზე სწრაფად და ეფექტურად წვდომის საშუალებას იძლევა, რაც აადვილებს მის გამოყენებას, პრაქტიკაში დანერგვასა და შესრულებას.

იცოდე!

ნებისმიერი როლის/ფუნქციების შესრულებისას პროფესიონალი ბუღალტერი უნდა იცავდეს კოდექსს და სათანადოდ ითვალისწინებდეს ცალკეული მოთხოვნების მიზანსა და დანიშნულებას. მაგრამ მოთხოვნების დაცვა არ ნიშნავს, რომ პროფესიონალი ბუღალტერი ყოველთვის ასრულებდა თავის პასუხისმგებლობას საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებასთან დაკავშირებით.

შეიძლება შიქმნას უჩვეულო ან განსაკუთრებული გარემოებები, რომლის დროსაც პროფესიონალი ბუღალტერი მიიჩნევს, რომ კოდექსის მოთხოვნების შესრულება შეიძლება არ პასუხობდეს საზოგადოებრივ ინტერესებს ან არაპროპორციულ შედეგს იწვევდეს. ასეთ ვითარებაში პროფესიონალ ბუღალტერს შეუძლია კონსულტაციის გავლა შესაბამის პროფესიონალებთან ან მარეგულირებელ ორგანოსთან.

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) თანხმობით მის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული დოკუმენტი „ბესსს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა - ნაწილი 11: ბუღალტრების მოსალოდნელი როლი და მენტალიტეტი — ფოკუსირება მიკერძოებაზე – ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოქვეყნდა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ. IFAC-ის მიერ დამტკიცებულ ტექსტს წარმოადგენს მის მიერ გამოცემული ინგლისურენოვანი ვერსია. IFAC არ იღებს პასუხისმგებლობას თარგმანის სისწორესა და სისრულეზე ან მისგან გამომდინარე ნებისმიერ ქმედებაზე.

„ბესსს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა - ნაწილი 11: ბუღალტრების მოსალოდნელი როლი და მენტალიტეტი — ფოკუსირება მიკერძოებაზე - ინგლისურენოვანი ვერსია © [2020], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

„ბესსს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა - ნაწილი 11: ბუღალტრების მოსალოდნელი როლი და მენტალიტეტი — ფოკუსირება მიკერძოებაზე - ქართულენოვანი ვერსია © [2020], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

სათაური ინგლისურ ენაზე: Exploring the IESBA Code Installment 11 – The Role and Mindset Expected of Accountants—A Focus on Bias.

წინამდებარე დოკუმენტის გავრცელების, შენახვისა და გადაცემის, ან ნებისმიერი სხვა სახით მისი გამოყენების თაობაზე დაუკავშირდით IFAC-ს:

Permissions@ifac.org